

K

245.962


3

3  
0  
ავ. როსტომაშვილის რედაქციით გამოცემული.

ქართული  
ბიბლიოთეკა

ახალი საუკეთესო წესი  
პენასებრის გაშენებისა  
საქართველოში.

ს. ქვადანისა.



თბილისი

სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.

1897

ახალი საუკეთესო წესი

პენასების გაშენებისა

საქართველოში.

F 138  
K 245.96.2  
3  
3

ს. ქვარანისა.

სპეკ-2000  
შემოწმებულია

თბილისი

სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.

1897

634.8 (449.22)



მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს აკადემია

საქართველოს აკადემია

Дозволено цензурою Тифлисъ, 31-го Мая 1897 года.

1897

1897

1897

1897

103.

# ახალი საუკეთესო წესი

ვენახების გაუმჯობესის საქართველოში.



ისაც-კი ცოტათი მაინც ესმის ზეურნეობა და მეტადრე მევენახობა, უსათუოთ შენიშნული ექნება, თუ რამდენათ საყურადღებოა ვენახის მოვლა-გაუმჯობესება. კარგი მოვლა-გაუმჯობესებით, ვაზი არამც თუ ისხამს ბევრს ყურძენს და ამწიფებს საესებით ნაყოფს, არამედ სძლებს დიდხანს, უმატებს ნაყოფიერებას, უძლებს გაზაფხულის სიცივეს და ასე გასინჯეთ ყოჩაღათ იტანს თავის მრავალგვარ სენსაც. ცუდი მოვლა-გაუმჯობესებით-კი ვხედავთ სრულიად წინააღმდეგს.

ახლა ვიკითხოთ, რაში მდგომარეობს ვენახების საუკეთესო მოვლა-გაუმჯობესება? მოგეხსენებათ, რომ დედა-მიწის ზურგზე, არის სხვა ბევრი განათლებული ქვეყნები, სადაც მეტად გულმოდგინეთ მისდევენ მევენახობას, აყენებენ საუკეთესო ღვინოებს და ჰყდიან ფრიად დიდ ფასებში. ევროპაში და, მეტადრე საფრანგეთში, ამ უკანასკნელ დრომდე არსებობდა ვაზის ხშირი და-



რგვა და მოკლე გასხვავა. ერთ ქიქვა\*) მიწაზე რგავდნენ ხუთი ათასიდან ათი ათასამდე ვახს და სხლავდნენ ნახევარ არშინ სიმალიდან და უფრო ნაკლებაც. ასე გაშენებული ვენახი იძლეოდა მცირე მოსავალს, რომელიც დროს მიმავლობაში თვალსაჩინოდ კლებულობდა და ვახებიც მეტად მალე ბერდებოდნენ, ასე რომ ხუთმეტი წლის შემდეგ ვენახი რომ არ გაეახლებინათ, სრულიად უყურძნოთ და უღვინოთ რჩებოდნენ. ვენახის განახლება-კი მეტად დიდს ხარჯსა და დროს თხოვლობს.

ამ ზემოხსენებულ ნაკლის ასაცილებლად მთელი ევროპის და მეტადრე საფრანგეთის გამოჩენილი მკოდნე მეურნენი შეუდგნენ ცდას და იმის გამოკვლევას, რომ ვახის მოსავალი და გამძლეობა გაედიდებინათ. ცდამ მუქათათ არ ჩაუარა და მივიდნენ იმ საფუძვლიან აზრამდე, რომ რამდენადაც შოჩი-შოჩს იქნება ვახი დარგული და რამდენადაც უფრო გრძელი ექნება ვახს გასასხლეელი ტოტი, იმდენათ ვენახი უფრო ბევრს მოსავალს მიიღებს, დიდხანსაც გასძლეებს და მეტად ადვილ-მოსავლელიც აჩისო. ეს აზრი თუმცა პირველად საფრანგეთში დაიბადა, მაგრამ ხორცი შეისხა და დანმტკიცდა უფრო იტალიაში, რომელსაც შემდეგში სხვა სახელმწიფოებმაც წაჰბადეს. მეცნიერ ბედელის გამოანგარიშებით მარტო იტალიამ მოიმატა ღვინის მოსავალი ოთხმეტ-და-ათი მილიონი ჩაფითო, ე. ი. მოჰყავდა ას ოცი მილიონი ჩაფი და ღღეს მოუღის ორას ათი მილიონი ჩაფიო, თუმც ვენახები ერთი ქცვეითაც არ მოჰმატებიაო. ეს სასწაული მოხდა მხოლოდ გრძელ გასხვავის მეხსებით და ვახის შოჩი-შოჩს დარგვით. ჩვენს საქართველოში თითქმის ყველგან ვეტანებით დაბლარ ვენახის გაშენებას, რომელშიაც ვახი მეტად მჭიდროთაა დარგულ და გასხვლითაც მოკლეთ ვსხლავთ. ჩვენ ვტო-

\*) ქიქვა დღიურზედ ცოტა პატარაა.

ვებთ ერთს გრძელს სანაყოფე რქას, რომელსაც ვლუნავთ რველად და მეორეს კიდევ—მოკლე საკვირტე რქას, დანარჩენებს-კი შეუბრალებლათ ვჭრით და ვაცლით ვაზს. ამ გვარის გასწვლით ვაზს ვუსპობთ ძალას და სიცოცხლეს და ჩვენც მეტად ვზარალობთ. ამას დაუმატეთ ჩვენი უთაურობა და უაზროთ გაშენება ვენახისა, და ნუ თუ საკვირველი იქნება, რომ მოგვივიდეს ქცევაში მხოლოდ ორმოცი ან სამოცი ჩაფი ღვინო, მაშინ როდესაც ვეროპაში ღღეს იმავე ქცევაზე გრძელი გასწვლით და შორი-შორ გაშენებით მოუღდისთ ოთხას-ხუთასი ჩაფი! ასეთი საოცარი განსხვავება-კი არც მიწის და არც ვაზის ბრალია! ჩვენი მიწა და ვაზები არამც თუ ჩამოუვარდება, არამედ კბდევ სჯობია ვეროპისას. უკეთესი არ იქნება, რომ ათა ქრეკა ვენახის მკაგერ ჯიქანიოთ ვეროპის მკაგესი ერთი ქრეკა, რომელიც უფრო ნაკლებ შრომას, ნაკლებ მოვლას თხოულობს და ისეთ საოცარ მოსავალს-კი იძლევა!..

## II.




ხლა დაუკვირდეთ ჩვენს დობილებს და ჩვენს მალღარებს, რას გვამხელენ ისინი? ჩვენ ვხედავთ ასი და ორასი წლის ვაზებს, რომელნიც საყვარელივით მოჰხვევიან მუხას, თხმელას და ხურმას, გაუშვებიათ გრძლათ ტოტები, რომლებზედაც მონაბღულა შავი და თეთრი მტევნები, და ამაყად დასცქერიან მიდამოს. რას გვამხელენ ჩვენ ეს ასი წლის ვაზები, ეს ასი წლის გოლიათნი? გვამხელენ, თუ რამდენად საბედნიეროა და სამნიშვნელოა ყოველი მცენარისთვის თავისუფლება. ყოველგვარი შეზღუდვა თავისუფლებისა სუსხავს და ასახიჩრებს ყოველივე ცხოველს, ყოველივე მცენარეს. ვაზს-კი თავისუფალ ზრდაში, თავისუფლების სიყვარულში მცენარეთა შორის

არა ჰყავს ბადალი! მას უყვარს თავისუფლება, როგორც მის მოძმე ქართველს. მხოლოდ თავისუფლებაში იცოცხლა იმ ვაზმა ასი-ორასი წელიწადი, მხოლოდ თავისუფალ ზრდაში გაძლიერდა იგი და მოგვცა მრავალი ნაყოფი. ავიღოთ ახლა რომელიმე ხეხილი, თუნდ მსხალი. რა მოუვა მსხალს, რომ დაეუწყოთ მას კვეცა და მოკლეთ სხვლა, ისე როგორც დაბლარ ვაზს ვსხლავთ ხოლმე? უსათუოდ ეს მსხალი დაჯუჯდება, დამკვიჭრდება, გამოისხამს ცოტა ნაყოფს, დაბერდება და მოკვდება მალე, ისე, როგორც ემართება მოკლედ გასხლულ ვაზებს. თავის ნებაზე გაშვებული-კი ეს მსხალი განებიერებულია, ნაყოფიანი და დიდხნოვანი... ასეა ვაშლიც, ატამიც, ქლიავიც, ალუჩაც, ლელვიც, ნიგოზიც და სხვა. ასეა ვაზიც. მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ბალის ყოველი მცენარე უყურადღებოთ მივატოვოთ და არაფერი ვიზრუნოთ მათთვის. როგორც ადამიანი, როგორც შინაური ცხოველი, მცენარეც თხოულობს მეტად საზრიან მოვლას და პატივს, თხოულობს ნოყიერ მიწას, თხოულობს ზედადგის და ნიადგის გაფხვიერებას, ბალახებიდან გასუფთავებას, თავის დროზედ სასუქსა და მორწყვას, თხოულობს გამხმარ ტოტების და ნამკვრეების მოცილებას, მავნე ცხოველების და მწერების მოშორებას, სხვადა-სხვა სენისაგან წამლობას. ასეთივე მოსაზრებული შესხვლა და გამოწმენდა ტოტებისა მეტად უხდება ყოველ ხეხილს. სწორეთ ამასვე თხოულობს და ამავე ბუნების კანონებს ემორჩილება ვაზიც და თუ ჩვენ შევიგნებთ მის შინაგან ბუნებას და შევუწყობთ ამ რიგათ ხელს, მაშინ ჩვენი შრომა იქნება ნაყოფიერი და სასარგებლო. დავუბრუნდეთ ისევ მაღლარ ვაზს. როგორც მაგალითებიდან ჩანს, წინეთ მეტათ ხშირი ყოფილა ჩვენში მაღლარები და დობილოები. ზოგი მათგანი მეტად განთქმული ყოფილა თავისი ფრიად სასიამოვნო და მაგარი ღვინით.



ჩვენი წინაპრები ამენებდნენ და უმვებდნენ ხეებზე ვაზებს მიტომ-კი არა, რომ ისინი ჩვენზედ უკეთესი მეურნენი იყვნენ და უკეთ ესმოდათ ვაზის მოვლა, პირ-იქით, ისინი ამ გვარ ცოდნაში ბევრად ჩამოგვივარდებოდნენ ჩვენ. მართალიც ვთქვათ, იმათ არც სცალოდათ ოჯახის და მეურნეობის განსავითარებლად. მაშინ ქართველს მუდამ კარზედ უდგა ხმალი-ამოღებული მტერი და უპირებდა მოკვლას, ცოლმედილის შერცხვენას და დატყვევებას, თავისუფლების და რჯულის მოსპობას. ქართველიც, ვით ზღაპრული დევ-გმირ, იბრძოდა უშიშრად და მუსრავდა აურიცხველ მტრებს—ბერძნებს, არაბებს, სპარსელებს, ოსმალებს, თათრებს, ლეკებს და სხ. სამი ათასი წლის განმავლობაში არ დაუსვენია, არ ჩაგებულა ქარქაში ქართველის ხმალი, ოც-და-ათი საუკუნე გაატარა მან ბრძოლის ველზე...

### III.



იახ, ამისთანა შავს დროს აბა სად ექნებოდა ქართველს მოცლა განკეთება მკაფხასობა და მეურნეობა! როგორ უნდა მოეშენებია ვენახი? თუ მოაშენებდა დაბლარს, როცა იმას საომრათ დაუძახებდნენ, ვაზები ანუ გაუთოხნავ-დაუბარავი, ან შეუღობავი დარჩებოდა და ყურძენი დაიხშობოდა ან ბაღახ-ბუღახში, ან შეიქნებოდა ოთხფეხი საქონლის და ფრინველების მსხვერპლი. ამისთანა დროს ქართველის ერთად-ერთი საშუალება იყო მიერგო ვაზი რონელიმე ხისათვის და მიენდო მისთვის დანარჩენი ზრუნვა. ამის მაგალითსაც ხედავდა: ტყეში ბევრი იყო ხეებზე გასული ტყის ყურძენი ანუ კრიკინა. ამ გვარად ქართველი შეიქნა უზრუნველი ვენახის მოვლაში. მან მიიბარა ვაზი ხესა და ბუნებას და მისცა სრული თავისუფლება... მაგრამ იცვალნენ დრონი. ამ ორმოცი წლის წინეთ გაჩნდა ჩვენში ვაზის საშინელი რისხვა, საშინელი სე-

ნი—ნაჯარა და ბოლო მოუღო ჩვენს ზვრებს, ჩვენს მალღარებს და დობოლოებს.

გარდა ამისა გამრავლდა ხალხი, გაძვირდა მიწა. ამ რიგათ ჩვენი მევენახობაც უნდა შეცვლილიყო. მალღარი საზოგადოათ თხოულობს ბევრს მიწას, მის შესაფერ ხეებს, თან იძლევა შედარებით მცირე მოსავალს. რა უნდა გვექნა ამისთანა დროს? ერთი საშუალება იყო—დაზარა კენახი. მოჰკიდეს ხელი დაბლარის შენებას და გაავსეს ზვრებით ცარიელი ადგილები. ამ შემთხვევაში ყველაზედ უფრო მხნეობა გამოიჩინეს ზემო იმერლებმა. მთელი ყვირილის ხეობა, მთელი არგვეთა და მთელი ბაღდადის მხარე გაივსო ვენახებით. ჯურია-სამეგრელოშიაც წაბაძეს იმერეთს, გადმოიტანეს იქიდან ვაზები და დაუწყეს იმ გვარივე გეგმით შენება და მოვლა, მაგრამ მალე გაუცუდლათ იმედი, აქ არ ივარგა იმერულმა დაბლარმა, რადგან მეტად ნესტიანი ალაგებია. ამიტომ გურულმაც და მეგრულმაც ანებეს თავი იმერულ ვაზებს და ერთად ერთი ხსნა მოიპოვეს იზაბელაში (ადესაში), რომელიც უძლებს ნაცარს, ისხამს ბლომათ, არ თხოულობს ბევრს მოვლას, მაგრამ იძლევა მდარე, მყარ ღვინოს. აი ეს იზაბელა გაუშვეს ძველებურათ ხეებზე.

IV.



იმერეთსაც დიდხანს არ გაუხარია თავას ნაშრომნადავით. ამ რვა წლის წინათ იჩინა იქ თავი ვაზის საშინელი სენმა მიადიუმ ანუ რამა და სწრაფად მოედო მთელს იმერეთს. მას მოჰყვა ვაზის საშინელი რისხვა ფალაქსურა, რომელმაც ამ მოკლე ხანში მუსრი გაავლო და ავლებს მუსრს მთელი ქუთაისის გუ-

ბერნიის ვენახებს და ემუქრის იმერლობას სრულიად უყურძნოდ დატოვებას. ჯერ ნაცარი და ახლა მილდიუ გადვიდნენ თფილისის გუბერნიაში და მოედნენ მთელ ქართლ-კახეთს. მარტო ფილოქსერისაგან საფრანგეთს მოუვიდა ხუთი ათასი მილიონი მანეთის ზარალი. ნაცარს და ობს მოუგონეს უებარი წამლები, პირველს გოგირდი, ხოლო მეორეს — შახაძანი. ჩვენში უკვე შამოლებულია ეს წამლები და დიდს სარგებლობასაც იძლევიან, მაგრამ ფილოქსერას ჯერ ვერაფერი მოუგონეს.

რა უნდა მოვაგვაროთ ამისთანა ძძიმე დროს? რითი უნდა ვიხსნათ თავი დაღუპვისაგან? ვინაა ჩვენი პატრონი? ჩვენი პატრონი არაა... მხოლოდ ჩვენ ჯართ ჩვენავე თავის პატრონი. ამისთანა დროს გვმართებს, ძმებო, სიფხიზლე, გვმართებს შეერთება და ერთმანეთის დახმარება, გვმართებს სამეურნეო ცოდნის შეძენა და ოჯახის ფეხზედ დაყენება. ჩვენი წარსული ძღაიერება შექნა მიწამ და ძეურნეობამ, ჩვენი მომავალი ძღაიერება ამ მიწაშია, მის ძეურნეობის განვითარებაშია. ჩვენ ვერ მოგვწყდებით იმ მიწას, რომელიც გვიანდერძა ჩვენმა მამა-პაპამ და რომელიც მორწყულია მათი წმინდა სისხლით, რომელიც გაბონიერებულია მათი ძვლებით.



V.

IV

ვენ უნდა გაუმკლავდეთ ვაზის მტერს: ნაცარს, ობს, ფილოქსერას და შაკჭირს, გამოვგლიჯოთ მათ ხელიდან ვენახი. ეს სასწაული-კი რითი უნდა ჩავიდინოთ? ამ გმირობას სჭირდება ცოდნა და ბევრი ფული. ცოდნას შევიძენთ, არაფერია; შევიტყობთ, თუ როგორ იხსნა თავი ევროპამ და ჩვენც იმ საშუალებას ვიხმართ, მაგრამ ხარჯს რა ვუყოთ? ფული სად ვი-



შოვოთ? ევროპის ხალხი თუ უწამლებს თავის ვენახს და ხმარობს ათას საშუალებას, სამაგიეროთ დიდი შემოსავალიც აქვს. იქ ქცევა ვენახი იძლევა სამას, ოთხას და ხუთას ჩაფს ღვინოს, რომელსაც შვენივრად აყენებენ და ძვირათაც ჰყიდიან. იქ მართო ერთი ქცევა ვენახის შემოსავალი ჰფარავს ხარჯს და მშვენივრად არჩენს ერთს დიდს ოჯახს. ჩვენ-კი ერთ ქცევაზე მხოლოდ ორმოცი, სამოცი და იშვიათად ოთხმოცი ჩაფი ღვინო მოგვდის და ისიც ნახევარ ფასში უნდა გავყიდოთ და შევიქნეთ გაიძვერა ჩარჩების ლუკმათ. თუ გვინდა ვიხსნათ ჩვენი ვენახები დაღუპვისაგან, უნდა გავაშენოთ, უნდა გავსხლათ ჩვენს ვენახს ისე, როგორც ევროპაშია, თორემ სხვა საშუალება არ მაქვს. ვენახის შემოსავალმა უნდა დაჰფაროს ყოველგვარი ხარჯი და მოგვეცეს კიდევ ბევრი სარგებლობა. ეს-კი ძხელია არ არის, თუ ფხანსადა მკეკეკეკებით ახალ საქმეს და შეკრულით ჩვენს მკეკეკეკეკების დაძველებულ გეგმას.

ამ მოკლე ხანში საფრანგეთმა მეტად განაფითარა თავისი მევენახობა, გამოიგონა და შეიმუშავა ვაზის გაშენების და გასხვლის ახალი სისტემები, რაიცა შეითვისეს სხვა ევროპის ერებმაც. უმთავრესი სისტემები არის—გიუოსი, სილვანისა, ლიუსედოდისა და კაზენაჯისა. ამათში ყველაზედ უკეთესი და ჩვენთვის ყველაზედ უფრო გამოსადეგი კაზენაჯის სისტემაა და ამიტომ ჩვენც ის გავიცნოთ დაწვრილებით.



### VI.

### კაზენაჯის სისტემა.

ვენ ზევით უკვე აღვნიშნეთ, თუ რამდენად სამნიშვნელოა გრძლად გასხვლა და შორი-შორს დარგვა ვაზისა. განვიხილოთ სავსებით ეს ახალი სისტემა, წოდებული კაზენაჯის სისტემად. სავენახე მიწა ან უნდა დაიბაროს შემადგომაზე ორი

ბარის პირის სიღრმეზედ და გადაბრუნდეს, ან უნდა დაიხნას  
ორი გუთნით სამ ჩარეკზე, ე. ი. წინა გუთანი ხნავს შვიდ-  
რვა გოჯის სიღრმეზედ და იმ კვალშივე უკანა გუთანი ხნავს  
ოთხი-ხუთი გოჯის სიღრმეზე. ეს დაბარული ან დახნული მი-  
წა ზამთარში ყინვა-სიცივის და ჰაერის გამო დაიფშენება, და-  
რბილდება, შესცვლის თავის შინაგან თვისებას და შეიქნება  
მეტად ნოყიერი და სასარგებლო მცენარისათვის. გაზაფხულ-  
ზედ-კი, თუ მიწა მეტად მკვრივე თიხიანია, უნდა მიუმატოთ  
მდინარის სილა და ქვიშა, რითაც მეტად კეთდება და ნოყიერდებ-  
ა თიხა-მიწა, მასთან, თუ ცოტაოდენ ნაკელს და ნაცარს (ტუტას)  
მიუმატებთ ძლიერ კარგი იქნება და თუ მიწა მეტად ქვიშიან-  
სილიანია, უნდა მიემატოს აყალო მიწა. ამ გვარათ დამზადე-  
ბულ მიწას ახნავთ სახნისით გაზაფხულზე, მარტში ანუ აპრილ-  
ში, და დარგავთ მასში ან ძირიან ვაზებს, ან ლერწებს (რქებს)<sup>1)</sup>.  
სავენახე ალაგი უნდა იყურებოდეს ან სამხრეთისაკენ, ან სამ-  
ხრეთ-დასავლეთისაკენ და ვაზებიც უნდა დაირგას ამ რიგათვე,  
ე. ი. სამხრეთისკენ ან სამხრეთ-დასავლეთისკენ. ამ გვარად  
დარგულ ვაზებს მზე უყურებს მთელი დღე, ათბობს კარგათ  
და ამწიფებს მშვენივრათ და თანაბრათ, რაიცა დიდათ საჭი-  
როა. ვაზები უნდა დაირგას წყობრივ, მაგრამ ისე, რომ ერთ-  
მანეთს არ აჩერებდეს და მზე ყველას უყურებდეს, როგორც  
გვაჩვენებს ეს პირველი სურათი.

---

<sup>1)</sup> ასე ღრმად დაბარულს ანუ დახნულ მიწას ის დიდი მნიშვნელო-  
ბა აქვს, რომ ერთი სამად უმატებს ვაზს ნაყოფიერებას და ყურძნის მო-  
სავალს. თან ვაზი თავისუფლად და ღრმად უშვებს ფესვებს, ხდება მე-  
ტად ღონიერი, ნაყოფიერი და დიდხნოვანი. თან ვერც გვალვა და ვერც  
სინესტე ვერას ავნებს.



სამხრეთი. ეს უმცირესობის მართლმადიდებელი...  
 1. ს. მანძილი. ამანძილი. ანუ. მანძილის. ნამდვილი. იყო  
 მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის.  
 მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის.  
 მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის.  
 მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის.  
 მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის.  
 მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის.  
 მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის.  
 მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის. მანძილის.

ვაზების წყობასა და წყობას შორის (შარსა და შარს შო-  
 რის) უნდა იყვეს ერთი საჟენი მანძილი, ვაზსა და ვაზს შო-  
 რის-კი უნდა იყვეს ერთი საჟენიდან საჟენ ნახევრამდე. ამ გვარ  
 დარგვას ითხოვს ის საუკეთესო კაზენავას სისტემა, რომელიც  
 ზევით მოვიხსენიეთ და რომელიც შამოიღეს ამ ბოლო დროს  
 საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში, რითაც ერთ ქცევაზედ მო-  
 სლით ხუთას-ექვსასი ჩაფი ღვინო. ამ გვარი დარგვით ერთ  
 ქცევას უნდება მხოლოდ ექვსიდან-შვიდას ძირამდე ვაზი ანუ  
 ლერწი, მაშინ როდესაც ჩვენი ძველი სისტემით უნდება რამდენი-  
 მე ათასი. ასე რომ კაზენავის სისტემით ვენახის მოშენება მეტად  
 იაფად დაჯდება, რაც დიდათ სამნიშვნელოა. თან დროსაც  
 ერთი-ორად ნაკლებს თხოულობს და არც გადაწვენაა საჭირო,  
 რომელიც საზოგადოთ მეტათ მანებელია, მეტათ ასუსტებს  
 ვაზებს. სასურველია პირველ დარგვაზედ ორ-ორი ლერწი ერ-  
 თად დაირგას, ვინიცობისათვის; თუ ერთი გახმება, მეორე მა-  
 ინც გაიხარებს. მერე ჩამატება-კი აკოჭლებს ვენახს. და თუ  
 ორივემ გაიხარა, მაშინ ერთი უნდა ამოვიღოთ და სხვაგან გა-  
 დავრგოთ.


მეორე წელიწადს, შამადგომავედ ან მომავალ გაზაფ-

ხულოზედ, ვაზებს სხლავენ და ტოვებენ მხოლოდ ორ-ორ ლერწს (ტოტს).

ამასთანავე უნდა დაისოს მაგრად ვაზებთან მწკრივით ორ-არშინ ნახევარ სიმაღლის სარები (ბოძები), ერთი მეორეზედ საყენ ნახევრით მოშორებული და მათზედ უნდა გაიბას სამ წყობისათ რკინის მართული ან, რაც უფრო კარგი იქნება, ხის წვრილი ქოკრები (ხალხები). სულ ქვეშა მართული ან ქოკრი უნდა იყვეს მიბმული სარებზედ მიწიდან არშინის სამი მეოთხედის (12 ვერშოკის) სიმაღლეზედ, მეორე—ერთი არშინის და მის მეოთხედის სიმაღლეზე და მესამე ორი არშინის სიმაღლეზედ მიწიდან.

შემდეგ ამისაიმ უკვე გასხლულ თვითეულ ვაზის ერთ ლერწს მოლუნავთ ფრთხილათ, რომ არ მოტყდეს და მიაკრავთ ძირა მართულზედ ან ქოკრზედ, როგორც გვაჩვენებს ეს მეორე სურათი.


2 ს.



მისაკრავად იხმარება ან ქილი, ან წნორი და ან ხარა-ლი, ან სვია და სხვ. თუ პირველი ლერწი კარგად დააკავეთ და არ მოგიტყდათ, მაშინ მეორე ლერწი უნდა მოსჭრათ, ხოლო თუ პირველი მოგიტყდათ, მაშინ ეს მეორე იხმარეთ. მიკრული ლერწის სიგრძე უნდა იყვეს თითქმის საყენ ნახევარი ან ოთხი არშინი მაინც. ამ ლერწს ქვეშა კვირტები უნდა და-

ეცალოს დანით სრულიად, ზეითურა-კი უნდა დარჩეს. იმავე წელიწადს ზეითა კვირტიდან ამოვა ორ-ორ მტევნიანი ლერწები, რომლებიც თავის თავად მიეკვრიან მეორეს და მესამე მართულებს ან ქოკრებს, როგორც ვხედავთ ამ მესამე სურათ-ზედ.

ს ს.



ივლისში უსათუოდ უნდა წაიჭრას ამ ლერწების წვერები სულ ზეითა მართულიდან ერთი ტკავლის სიმაღლეზედ და თანაც უნდა დაიტოვოს მომავლისათვის სანაყოფე ლერწები. ნამკვრეკეპი-კი ყოველთვის უნდა მოვაშოროთ ვაზებს, რადგან ტყუილ-უბრალოთ ასუსტებენ მათ. წვერების გადაჭრას-კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ ვაზს აღარ წაუვა ძალა ლერწების ბოძზედ გადაცილებულ უსარგებლო ზრდაში, მთელი ნოყიერება დაუბრუნდება ნაყოფს, ე. ი. ყურძენს, დაამსხვილებს მტევნებს და მარცვლებს, დაამწიფებს ზომიერად, კარგად და მისცემს ბევრს სიტკბოს. თანაც წვერების წაჭრით თვით ლერწები მეტათ დამსხვილდება და გახდება მომავლისათვის ნაყოფიერი და გამძლე. ამ გვართ წვერების წაჭრას ივლისში დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახობაში.


იმავე შემოდგომაზედ ან მეორე წელიწადს გაზაფხულზედ






ეს ლერწები უნდა გაისხლას, და თითოზედ მხოლოდ შვიდი-რვა უნდა დაანარჩუნოთ (დანარჩენი უნდა წაიჭრას) და მიეკრას ალმაცვრად შუათანა მავთულზედ, როგორც გვაჩვენებს ეს მეოთხე სურათი.

4 ს.



როგორც ვიცით, ეს კვირტები გაიზრდებიან იმ წელიწადს ლერწებად და თითო მათგანი მოიხსამს ორ-სამ მტევანს ყურძენს. ამ გვარად, რომ წარმოვიდგინოთ ექვსი კვირტიდან ამოსული ექვსი ლერწი, რომლებიც თავის მხრივ იძლევა სათითაოდ ექვს-შვიდს ლერწს, ვნახავთ, რომ მესამე წელიწადს თითო ვაზს ექნება ორმოცამდე ლერწი; თითო ლერწზედ თუ წარმოვიდგინოთ ორ-სამ მტევანს, ვნახავთ, რომ ერთი ძირი ვაზი მოიხსამს ას-ასოც მტევანს.

5 ს.




იმავე შამადგომაზედ ან მომავალ გაზაფხულზედ ვაზები

უნდა გაისხლას ისე, რომ დარჩეს თითო ძირ ლერწმზედ მხოლოდ თითო ლერწი და ორ-სამ კვირტიანი რქა და უნდა მიიკრას აღმაცვრად საშუალო მართულზედ, როგორც ნახვენება ია მეხუთე სურათზე.

ამ გვარივე გასხლა უნდა დარჩეს სამუდამოდ შემდეგ წლებში ყველა ვაზისათვის. ამ რიგად გასხლული ვაზი იძლევა მეოთხე წელს თორმეტი ლერწით და ოც-და-ათი მტევნით მეტს, ვინემ მესამე წელში, და ეს რიცხვი შემდეგ წლებში კიდევ მატულობს ორ-სამ წელიწადს. აქ სამწუხაროთ არ შეგვიძლია დავხატოთ, თუ რამდენი ლერწი და მტევანი გამოვების ზაფხულში ამ გვარად გასხლულ ვაზს; ამის ნათლათ დასურათება ქალაქზე ყოველად შეუძლებელია. ამას დაახლოვებით ეს მეექვსე სურათი გვიჩვენებს.

6 ს.



ასე გაშენებული და მოვლილი ვაზი ცოცხლობს სამოცს და ოთხმოცს წელს და შეუწყვეტლივ იძლევა აურაცხელ მოსავალს. ერთი ქცევა ამ გვარი ვენახისა, როგორც დაამტკიცა მეცნიერმა გიუმამ იძლევა ხუთას ჩაფს ღვინოს; თითქმის ამდენივე ღვინო იანგარიშა თვით ამ სისტემის გამომგონმა მეცნიერმა კაზენავმა. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეს, კაზენავის სისტემით ვაზის გაშენება და გასხლა ვარგობს ყველგან, როგორც მთა ადგილებში, ისე ვაკეებში, ასე რომ ქართლ-

კახეთში, ქვემო-იმერეთში და გურია-სამეგრელოში მეტად გამოდგება და ამიტომ ფრიად სასურველია გავრცელდეს ამ ადგილებში კაზენავის სისტემით ვენახების გაშენება და მოვლა...

## VII.



მასთანავე გვახსოვდეს, რომ ვენახს სჭირია კარგი მოვლა, თორემ თუ ჩვენებურათ მივანებთ თავი, მარტო ბალახებით და შამბით შეიქმება, დასუსტდება და დახმება. ეს ვენახი თხოულობს კარგ მოვლას, მაგრამ სამაგიეროთ თითქმის ათჯერ მეტს იძლევა მოსავალს, ვინემ ჩვენი ვენახი. მუშაობაც არ დაჯდება ძვირად. ამ ვენახს უნდა სამ წელიწადში ერთხელ დაბარვა ან ცხენის გუთნით დახნა (ეს უფრო კარგია და იაფათაც დაჯდება). ზაუხულში უნდა სამჯერ-ორჯელ გაითოხნოს, რომ ბალახი არ მოერიოს და ვაზი-ყურძენი არ დაახშოს, უნდა ივლისში მაკრატლით წვერების წაჭრა ზეითა მართულზედ ერთი მეტაკვლით უფრო მაღლა, უნდა ნამკვრეების მოცილება, უნდა, თუ გვალვიანი წელიწადი დაუდგა, ერთი-ორჯელ მორწყვა (მორწყვა სჭირია მხოლოდ ქართლ-კახეთში და ქუთაისის გუბერნიაში-კი საჭირო არ არის), უნდა საზრიანი წამლობა ნაცრისაგან გოგირდით და ობისაგან, კრაქისაგან და შავი ჭირისაგან შაბიამნით. მასთან ესაჭიროება ვენახს ხუთ-ექვს წელიწადში ერთხელ ქცევაზედ რვა ანუ ათი ფუთი ნაცრის მოყრა და ათი-თუთხმეტი ურემი ნეხვის შეტანა. ნეხვიც და ნაცარიც უნდა ახალ გაზაფხულზედ მოიყაროს ვენახში თანაბრათ და აიხნას ან აითოხნოს მიწაში. უეჭველია ჩვენში ბევრს გაუკვირდება და იკითხავს—ეს ნაცარი რაღა საჭიროაო? მოგახსენებთ: ვაზს სხვა მრავალ ნივთიერებათა შორის, რომ-ლებსაც მიწიდან იღებს იგი, სჭირდება ნიტრატები, ანუ აზო-

ტის მარტლები, ფოსფორი და კალი; ეს ნივთიერებანი-კი საზოგადოთ მიწაში მეტად ცოტაა და რაც არის, იმასაც ვაზები ითვისებენ და ამჟღევებენ მიწას. ამიტომ, რომ ვაზები არ შეწუხდნენ და რომ საზრდო არ გამოვლიოთ, საჭიროა დრო გამოშვებით იმ ვენახის მიწას შევმატოთ წართმეული ნივთიერებანი, გავაპოხიეროთ ამ რიგათ და ვასაზრდოვოთ ვაზები. ეს ნივთიერებანი-კი საკმაოთ მოიპოვება საქანლას ნაკელში (ნეხვში) და ნაცარში (ტუტაში). ნაკელში საკმაო ბევრია ნიტრატები, არის ფოსფორი და ცოტა კალიც. ნაცარში ბევრია კალი და არის ეგრეთვე ფოსფორი. ვაზს-კი სჭირია ყველა ესენი, ყველაზედ მეტად-კი კალი, რადგან მხოლოდ ამ ნივთიერების წყალობითაა, რომ ვაზი იხხამს ყურძენს და ჩნდება ყურძენში ჯერ სიმჟავე, და შემდეგ სიტკბო ანუ შაქარი. თუ მიწაში კალი ცოტაა და სხვა ნივთიერებანი-კი ბევრი, ვაზი ყურძენს ან სულ არ დაიხხამს, ან მოიხხამს ფრიად ცოტას და იმასაც დასწეულეზულს, დაკვიჟრებულს და უმწითარს და, რაღა თქმა უნდა, ღვინოც და სხვა ყველაფერიც სუსტი და მჟავე გამოვა. ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ნაცარს (ტუტას) ვაზისთვის და რა რიგ გვიორკეცებს და გვისამკეცებს ღვინის მოსავალს. ჩვენ-კი ამ ნაცარს არაფრად ვაგდებთ და ვყრით უსარგებლოთ საცა მოგხედება, თურმე ოქრო-კი ყოფილა ეს ნაცარი.

დასასრული.

